

## საიპ განათლების ხარისხის განვითარების უროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

დაწესებულება	შპს გეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	202388219
რეგიონი	თბილისი
რაიონი	დიდუბე-ზუღაურეთი
მისამართი	წერილის პრ. №112
საფოსტო ინდექსი	0119
დაწესებულების კებ-გვერდი	<a href="http://www.geteti-geti.ge">www.geteti-geti.ge</a>
დაწესებულების კლ-ფოსტა	ger_geti@yahoo.com
ტელეფონი/ფაქსი	2351574
დაწესებულების ხელმძღვანელი	
სახელი და გვარი	ლია კობაიძე-ქიავა
ტელეფონი	599186701
ელ-ფოსტა	likakoiava70@gmail.com
დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა	
პედაგოგი	38
მოსწავლეების მრავალობა	255
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების ნომერი	საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 3 თებერვლის N1 გადაწყვეტილება

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..... ქ. ქართული

მონიტორინგის ჯგუფის წევრი მდებარეობს ქართული

ლეიტ. ქადუ გვ. შვილი

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული  
რაოდენობა

270

დაწესებულებასახორციელებს

დაწყებითზოგადსაგანმანათლებლოსაფეხურისსაგანმანათლებლოპროგრამას  
საბაზოზოგადსაგანმანათლებლოსაფეხურისსაგანმანათლებლოპროგრამას  
პროფესიულსაგანმანათლებლოპროგრამას



ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფს კიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	განათლების ხარისხის განვითარების უროვნელი ცნობის დირექტორის ბრძანება N301 23.04.2019
მონიტორინგის ჯგუფის წევრები	ირინა დვალი (თავმჯდომარე), თამარ მიდალაშვილი (წევრი), მაკა პაჭაჭიშვილი (წევრი)
ვიზიტისგანხორციელების პერიოდი	6-8 მაისი 2019 წ.
დასკვნის მომზადების თარიღი	18 მაისი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...ქ. ქვემოთ...  
მონიტორინგის ჯგუფის წევრი შემდეგივე...  
ო. გორგაშვილი

## სიიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

პლოტიზაციის სტანდარტების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდგენი

### I. საგანმანათლებლოპროგრამები

#### 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შექსაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

აღწერა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება	მას გეტის სასკოლო სასწავლო გეგმა
	დამტკიცებულია 10.09.2018 წელს. გეგმის თავფერვალზე აღნიშნულია, რომ იგი დამტკიცებული პრედსაბჭომ, ასევე სკოლის დირექტორმა. სკოლის წერტილში მიხვდვით კი, სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი.	

დაწესებულება თავის მისიად განსაზღვრავს მოსწავლეთა აღზრდას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შექსაბამისად და მათთვის ყველა აუცილებელი პირობის შექმნას ისეთი განათლების მისაღებად, რომელიც მათ დაქმარება მოახდინონ თანამედროვე სამყაროში თვითონაზეა, ადაპტაცია და ინტეგრაცია.

შპს გეტის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ არსებით ნაწილებს: სკოლის მისია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით, სასწავლო კალენდარი, დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებისა და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, საათობრივი ბაზე, შეფასების პრინციპები, ინკლუზიური განათლებისა და სადამრიგებლო პროგრამა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე მ. ჩ. ჭ. დ.

მონიტორინგის ჯგუფის წევრი მ. დ. კ. ა. ჭ. დ.

## **სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი**

მონიტორინგის ჯაუფის დასკვნა

საათობრივ ბადექში გაწერილია ყველა სავალიღებულო საგანი, დაწყებით საფეხურზე დაცულია 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნები და სწავლა-სწავლების მიზნები.

სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილია საგნები, რომლებიც შეთავაზებულია დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით.

- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნებია: რესული ენა, ინგლისური ენა.

- ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებული დამატებითი მომსახურებაა ფაკულტატურის სახით: ზოგადი უნარები II – V კლასებში.

ვიზიტის პერიოდში სკოლაშ წარმოადგინა ზოგადი უნარების პროგრამა, რომელშიც ჩამოყალიბებულია შეფასების პრინციპები, საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.

ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო კლასებისა და საგნების მიხედვით გრიფინიუებული სასკოლო და დამატებითი სახელმძღვანელოების ნუსხა.

სასკოლო სასწავლო პეგმაში არის მოსწავლის აკადემიური მიღწვის შეფასების წესები, რუბრიკები, განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები. განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა და შემაჯამებელი დავალებების აღღვენის წესი. აღსანიშნავია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში არ ჩანს არჩევითი საგნის შეფასების წესი და მიმდინარე სასწავლო წელს არის თუ არა სკოლაში წლიური ან/და სემესტრული გამოვლენი (დანართი 1.)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...ა. გ. გო...

მონიტორინგის ჯგუფის წევრი შეკ... უფლებულია...

ა. გოლია ჭვილი

## საინ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

სკოლის კალენდრის მიხედვით, სასწავლო კვირა ხუთდღიანია. სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა შეისაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კლასების მიხედვით დაცულია დატვირთვის მაქსიმალური რაოდენობა.

საკოლო გეგმაში განვითარი ზოგადი ინკლუზიური განათლების პრიორამა სსმ მოსწავლისთვის, მაგრამ არ იყო წარმოდგენილი დეტალური ინდიკატორი სასწავლო გეგმა სკოლის არაქართულებაზე მოსწავლებისათვის.

სკოლაში განვითარი 16 კლასი, ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა და დამრიგებლის მიერ მოსწავლის სოციალური, ინტელექტუალური და აუდიტორი მისწრების შეფასების რუმბრიკა. სასწავლო პროგრამები წარმოდგენილია საგნის თემატურ-კალენდარული გეგმების სახით, რომელებშიც განსაზღვრულია ოქმის სწავლების მიზნები და შედეგები, დათმობითი საათურისა და სასწავლო მეთოდების ჩამონათვალი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია:

- სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლებსა და მათ შობლებს მიაწიდოს ინფორმაცია კლასებისა და საგნების მიხედვით დანიშნული წლიურისემსტრული გამოცდების თოლბაზე.
- შექმნას დეტალური ინდიკატულური სასწავლო გეგმა უცხო ქვეყნის მოქალაქებისთვის.
- საკოლო სასწავლო გეგმა
- დამრიგებლის პორტფოლიოები
- საკლასო შერნალები
- ინტერვიუები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ა. ე. ც. ჭ. ჭ.

მონიტორინგის ჯგუფის წევრი შ. კ. პ. კ. პ. ჭ. ჭ.

თავმ. გ. რ. დ. ა. დ. რ.

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შეფასება	დაკავშირდებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს უნაიოლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/6 ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი
----------	--

### 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა ჰასეულობის შესაბამისი საფეხურის მოთხოვნებს და საშუალებას აღლვს მათ,

აღწერა	სკოლაში ფუნქციონირებს 3 საგნობრივი კათედრა: ქართული და უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ეთნეტიკის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების. კათედრების აქტო შესაბამისი სამუშაო გეგმა და კათედრის გამგის პორტფოლიო, განსაზღვრულია კათედრის უზნებები, დაგვამილი და ჩატარებულია საგნობრივი პეირეულები, გაფლომებულია კათედრის სხდომის ოქტემბრი და სემესტრული ანგარიშები. კათედრებმა წარმოადგინეს კათედრების პორტფოლიოები. მათთან კომუნიკაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ კათედრებს განსაზღვრული აქტო თითოეული საგნისათვის შემაჯამებელი დავალების რაოდენობა და ჩატარების ვადები. წარმოებს შემაჯამებელი დავალების ანალიზი, რისთვისაც შემუშავებულია საერთო ფორმა: განსაზღვრულია სტანდარტის ინდიკატორები, რომელთა შემოწმებასაც ისახავს მიზნად შემაჯამებელი დავალება, წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების ნიმუში და შეფასების რუბრიკა, მოსწავლეთა შედეგები/შეფასებები.
--------	---

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

მათემატიკის რამდენიმე შემაჯამებელი დავალებების ნამუშევრებისას საბოლოო შეფასებები არ აღმიჩნდა რამდენიმე ნაშრომში, ქიმიის კერძავლება წარმოადგინა მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალების ნიმუშები. მიხ განმარტებით, შემაჯამებელი ნამუშევრები ჰქონდა სახლში.

სკოლას შემუშავებული აქც სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც საორგანიზაციო საკითხებს, ასევე შემოქმედებით აქტივობებს, დამრიგებლის მუშაობის მიზნებსა და მოვალეობებს, სადამრიგებლო საათის თემატიკას. დამრიგებლის პორტფოლიოებში წარმოდგენილია დამრიგებლის მუშაობის გეგმები, მოსწავლითა დემოგრაფიული მონაცემი, ანგარიშები, მშობელთა კრებების ოქმები. მასწავლებლების პორტფოლიოებში წარმოდგენილია საგნის თემატურ-კალენდარული გეგმები, განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

დაღასტურება/დანართი	<ul style="list-style-type: none"><li>• სასკოლო სასწავლო გეგმა</li><li>• კათედრის პორტფოლიოები</li><li>• დამრიგებლის პორტფოლიოები</li><li>• მასწავლებლთა პორტფოლიოები</li><li>• შემაჯამებელი დავალების ამსახველი დოკუმენტაცია</li></ul>
შეფასება	დაკავშირდებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი I-ის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ა.: დევიდ გორგაძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი შემაჯამებელი

ო ი მ ა ბ ი რ ე დ უ ს პ ე რ ე ლ ი

## საიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

<b>1.3 სასწოლო სასწავლო გეგმა მოსწავლის უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქტების სპეციალური პროგრამა განსაუთირებული საგანმანათლებლო საქოროების მქონე მოსწავლეთათვის</b>	<p>სასწოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ შპს გეტი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს ინკლუზიური განათლების შესახებ და გამოხატავს მზაობას შექმნას ხელსაყრელი პირობები ინკლუზიური განათლების უანხორციელებისათვის.</p> <p>ვიზიტის განხორციელების დროს დაფიქსირდა, რომ სამივე საფეხურზე სწავლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები. მათივის სკოლას ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს სტუდენტი, რომელიც ეხმარება ქართულის მოსწავლეებთან კომუნიკაციაში. სასკოლო გეგმაში არ დაფიქსირდა თითოეული მოსწავლისათვის საგნების მიხედვით შექმნილი ინდიკირდებულები სასწავლო გეგმები.</p> <p>სკოლას მიეცა რეჟიმენდაცია, რომ თითოეული მოსწავლისათვის შეადგინოს ისებ, რომელშიც დატალურად განსაზღვრავს: სასწავლო მიზნებსა და სასწავლო შედეგებს, სწავლების სტრატეგიებს შერჩევლა საგნებში, შეფასების პრინციპებს, დამსტებითი მეცადინებების გრაფიკს, სასწავლო რესურსს (სახელმძღვანელო, დამსტებითი რესურსები), ბრძანებით განსაზღვრავს ინდიკირდებულები სასწავლო გეგმის შესამუშავებელ ჯგუფსა და პროცესზე პასუხისმგებელ პირს.</p>
<b>დადასტურება/დანართი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასკოლო სასწავლო გეგმა</li> <li>• ინტერვიუები</li> </ul>
<b>შეფასება</b>	<p>არ არის დაგმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და</p>

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..... ა. დ. გ. ლ. ა. მ....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი . შეკვეთის დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის პრეზუმა დასკვნა

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3  
მუხლის „გ“ პუნქტი

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შექსაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალება, ცნობილია საკუთლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა პადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

აღწერა

შპს გეტის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, ასევე შემაჯამებელი დავალების მინისტრური რაოდენობა, წარმოდგენილია განმსაზღვრული შეფასების რუტინული კვერცხი საგნების მოხუდვით სხვადასხვა აქტივობისათვის. შეფასების რუტინული ცნობილია მოსწავლეებისათვის.

სკოლასთ ჟურნალების შესწავლისას გამოყლინდა შემდეგი:

1. მე-11 და მე-12 კლასებში არჩევით საგანმა სამედიცინო ბიოლოგია ) მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრული შეფასებით, რაც მწინააღმდეგა ეროვნული სასწავლო გეგმის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის-არჩევით საგნები მოსწავლე ვასდება ჩათვლის სისტემით ჩაეთვალია/არ ჩაეთვალია.
2. მე-5 კლასის მოსწავლეები განმსაზღვრული შეფასებით იყვნენ შეფასებულნი რუსულ ენაში საშინაო დავალების კომისიერები.
3. აღნიშნულის თაობაზე შესაბამის ჰედავთაგანმანაბნების მათ გააცნობიერეს ეროვნული სასწავლო განმის მოთხოვნები და მიდევნები და ვიზიტის დროსვე შევიდა ცვლილება და შენიშვნები საკლასთ ჟურნალებში.
4. მე-12 კლასის ჟურნალში შეტანილია ისეთი საგნები (აბიტურიენტის), რომელიც არ ისწავლება აღნიშნულ კლასში. ამასთან, ფიქსირდებოდა მოსწავლეთა დასწრება/არდალმწრების მონაცემები. თუმცა, ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ გავვთილები არ ტარდებოდა.

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკრინირების განვითარების მინისტრის მიერ მიღებული დოკუმენტი

<p>აღნიშნული დარღვევის თაობაზე განმარტება გავვთა კლასის დამრიგებელმა, რომელმაც სრულად აიღო პასუხისმგებლისა საკლასო ქურნალის არასწორ წარმოებაზე.</p> <p>4. ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად,</p> <p>თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლე სასწავლო წლის განმავლობაში გაცვდების კლეინებული საგნისთვის კოკურტებული სასწავლო წლის განმავლობაში დათმობილი სათების 30%-ს და მეტს, მოსწავლე ფასდება მხოლოდ შესტერნატის გამოცდის ჩახარების საფუძვლზე. შერნალების გადამოწევისას დაფიქსირდნენ მოსწავლები (უცხო ქავენის მოქალაქეები), რომელთა გაცდებებიც ბევრად აჭარბებს 30%-ს. სკოლაში ფიქსირდებან ასეთი მოსწავლეები, მაგრამ სკოლას არ აქვს მათ მიმართ გატარებული შესაბამისი ღონისძიებები. (დანართი 2)</p>	<ul style="list-style-type: none"><li>• სასკოლო სასწავლო გეგმა;</li><li>• მასწავლებლის პორტფოლიოები;</li><li>• კათედრის პორტფოლიოები;</li><li>• ინტერვიუები;</li><li>• სასკოლო ქურნალები</li></ul>
<p>შეფასება</p> <p>არ არის დაგმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ“ კუნქტი</p>	

### 1.5 შემუშავებულია მოსწავლის კადუტერი მოსწრების შესახებ შეიბლის ინფორმირების წესი და მშობები

უზრუნველყოფილია საკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ა. ლეილა დობრიავა

მონიტორინგის ჯგუფის წევრი შემასახურებელი

ა. მ. გორგა ჭვილი

## სიօპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკნა

### აღწერა

სკოლაში მოქმედების შრობებითა ინფორმირების წესი. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის არის შრობლებითან კომუნიკაცია. დამრიგებელი ვალდებულია თვეში მინიმუმ ერთხელ შრობლებს გააცნოს ინფორმაცია შვილის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ;

მშობლების ინფორმირება ხდება კლასის მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ქცევის წესის, გავეთილების გაცდენა-დაგვიანების, დაგეგმილი სასკოლო ღონისძიებებისა და სკოლის ცხოვრებაში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

დამრიგებლები უზრუნველყოფენ შრობლების ინფორმირებას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და საჭიროებების შესახებ თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნიკოგებისა და პირადი შეხვედრების მეშვეობით.

სკოლის დორუქციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ შრობლები იმ უცხოუთვანი მოსწავლეებისა, რომლებიც სისტემაზეურადაარ ქსწრებიან გვვთილებს, არ არიან ინფორმირებული მათი შვილების გაცდენების თაობაზე. დორუქციის განმარტებით, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ გარკვეულმა მათგანმა დატოვა საქართველოს საზღვრები.

დირქებისგვე განმარტებით, მათ თავადაც სურთ აღნიშვნელი მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაცია, მაგრამ მათი ადგილსამყლევლი ვერაფრით დაადგინეს.

### დადასტურება/დანართი

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- ინტერვიუები მოსწავლეებთან.
- ინტერვიუები დამრიგებლებთან

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

- ინტერვიუები დირექციასთან
- ინტერვიუ ხარისხის მართვის მენეჯერთან.

შეფასება	<p>არ არის დაკამაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასლურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/6 ბრძანების დანართი I-ის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი</p>
----------	---

### 1.6

შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გუმრაბეჭების მექანიზმი

აღწერა	<p>პას გეტს შემუშავებებული აქცს „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მქანიზმები.“ დოკუმენტში გაწერილია ძირითადი გეგმური - საორგანიზაციო საკითხები, კათურებულების მუშაობის ორგანიზება, საგანმანათლებლო პროცესის ხელმძღვანელობა, პედაგოგიური კონტროლი საგანმანათლებლო პროცესზე, მშობლებთა მუშაობა, სკოლაში მასწერიალურ-ტექნიკური გაზისა და სამუშაონეო საქმიანობის გამლიერება.</p> <p>სასწავლო პროცესის კონტროლს ახორციელებენ სკოლის დირექტორი და ხარისხის მართვის მენეჯერი.</p> <p>დაწესებულებაშ ვერ წარმოადგინა ჩატარებული მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია და ამაღლითი.</p> <p>სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, რომ მათ მიერვე შემუშავებული დოკუმენტაციის მიხედვთ დაგვამონ და განახორციელონ სასწავლო პროცესი. სკოლაში საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე და დასაბუთებული, არგუმენტირებული.</p>
--------	---

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..... მ. .... დავით დავითიშვილი

მონიტორინგის ჯგუფის წევრი მ. .... დავით დავითიშვილი

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

---

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა,

დადასტურება/დანართი	„სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გუმჯობესების მექანიზმები“ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის პორტფოლიო
შეფასება	დაგმუყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტი. ვ) შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გუმჯობესების მექანიზმი

### II. მატერიალური იურისი

2.1 დაწესებულებას აქცს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური  
რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

აღწერა	შპს გეტი მდებარეობს ქ. თბილისში, წერეთლის გამზ. N112-ში. სკოლა განთავსებულია 1739 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე ხუთსართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული ფართი სკოლას აღებული აქცს იჯარით შპს პირტასვან და შპს კამარასგან, სულ საერთო ფართით 1154 კვ.მ. სკოლის შენობაში, პირველ სართულზე, შესვლა შესაძლებელია წერეთლის გამზირიდან. შესავლებულშივე ზის დაცვის თანამშრომელი,
--------	--

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯაუფის დასკვნა

რომელიც აკონტროლებს უცხო პირების შესვლას და მხოლოდ დირექციის ნებართვით უშვებს შენობაში, სასწავლო პროცესი მიმღინარეობს მეორე მეზურით სართულებზე. სკოლაში წარმოადგინა ამნაწერები საჯარო რეესტრიდან და იჯარის ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც კონკრეტული ფართი სკოლის განკარგულებაშია 2022-2022 წლამდე.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N01.13.05.005; N01.13.05.005.025;
--	--------------------------------------

დადასტურება/დან ართი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ამნაწერები საჯარო რეესტრიდან</li> <li>• უძრავი ქონების ოჯარის ხელშეკრულებები</li> <li>• ვიზუალური დათვალიერება</li> </ul>
-------------------------	--

შეფასება	<p>დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/5 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი.</p>
----------	---

ბ) საკლასო ოთახები, აქცეულებული სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერჩებით, სასკოლო დაუზიანებით

აღწერა	<p>შპს ეპრის მეორე-მეხუთე სართულებზე განთავსებულია საკლასო ოთახები, კაბინეტები ადმინისტრაციისათვის, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კაბინეტი ისტ-ის გაკვეთილებისთვის, საბუნებისმეტყველო მენიურებების ლაბორატორია, ხელოვნების კაბინეტი, დარბაზი</p>
--------	---

მონიტორინგის ჯაუფის თავმჯდომარე ... მ. ლ. ჭ. ....

მონიტორინგის ჯაუფის წევრი მ. ლ. ჭ. ....

ა. ამინ. გ. დ. ს. კ. ი. 0

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	<p>სპორტული აქტივობებისათვის, სკოლას აქც სამედიცინო ოთახი, სასადილო ოთახი, საკონფერენციო ოთახი.</p> <p>საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლის მაგიდები და სკამები, დაფები, კარადები, სხვა დამხმარე სასწავლო რესურსი. სულ სკოლას შეძენილი აქც 260 შედარებით ძველი და 287 ახალი მერსი.</p> <p>ვიზიტის დროს მე-12 კლასის საკლასო ოთახში განთავსებული იყო 9 ინდივიდუალური მერხი, თუმცა განათლების მრთვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით, კლასში სწავლობს 24 მოსწავლე. ვიზიტის პირველ დღეს მე-12 კლასის მოსწავლეები გავვთილებს არ ესწრებოდნენ (დანართი 2-ფოტო)</p>
დადასტურება/დანართი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიზუალური დათვალიერება</li> <li>• ნაყიდობის ხელშესვრულებები</li> <li>• ინცენტურული დანართი</li> <li>• მიღება- ჩაბარების აქტებით</li> </ul>
შეფასება	<p>დაკმაყოფილუბულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქრთველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების შე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეშუნქტი.</p>

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოუდანი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...მ. ჭავჭავაძე...

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .შ. ჯავახიშვილი...

რამდენიმე წევრი...  
რამდენიმე წევრი...

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

აღწერა	სკოლაში მუხუთუ სართულზე არის სპორტული დარბაზი, 84 კვ.მ., რომელშიც განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა და შვედური კედელი. ასევე სკოლის მფლობელობაშია სხვადასხვა სპორტული ინვენტარი.
დადასტურება/დანართი	<ul style="list-style-type: none"><li>• ვიზუალური დათვალიერება</li><li>• შენობის აზომვითი ნახაზი</li><li>• საინვენტარო წიგნი</li></ul>
შეფასება	დაკამაყოფილურია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი.

### (დ) სათანადო აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

აღწერა	შპს გეტს აქცია ჰიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების სრული კომპლექტი. საბუნებებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია განთავსებულია 2 ოთახში, რომელთაგან ერთში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ხოლო მერქეში, რომელშიც დამონტაჟებულია ონკანი, დასაწყობებულია ლაბორატორიის რესურსი.
დადასტურება/დანართი	<ul style="list-style-type: none"><li>• ვიზუალური დათვალიერება</li><li>• შესყიდვის დოკუმენტაცია</li></ul>
შეფასება	დაკამაყოფილურია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..... მ. .... ქ. ....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..შესახებ კაცების დანართი.....

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

<p><b>2.</b> სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვითვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების  <b>2</b> უწყვეტი სისტემა, სელი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები</p>	<p>შპს გეტი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის (სს თელასი), წყლის (შპს ჯორჯიან უთურე ენდ ვაური) უწყვეტი მიწოდებით. საკოლო ფართის გათბობას უზრუნველყოფს ელექტროობაზე მომუშავე გამათბობლები (სულ 27 გამათბობელი). სკოლის ყველა სართულზე, სადაც სასწავლო პროცესი მიღინარებს, არის 2-2 სელი წერტილი გოგინებისათვის და ვაჟიშისათვის. ყველა საკლასო ოთახი ნათელია.</p>
<p><b>დაღასტურება/დანართი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ვიზუალური დათვალიერება</li> <li>• გადახდის ქვითონები</li> <li>• საინვენტარო წიგნი</li> </ul>	<p>შეფასება</p> <p>დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპერტიზი.</p>

**2.** სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ზიბლოოთვა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით,

**3** პერიოდითა და სხვა დამსმარე მასალით

<p>აღწერა</p>	<p>შპს გეტში ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მე-5 სართულზე ერთ-ერთ ოთახში, თაროებზე მოთავსებულია წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკას ჰყავს ბიბლიოთეკარი, საკოლო</p>
---------------	---

მონიტორინგის ჯგუფის წევრი მარია გაგუა და მონიტორინგის ჯგუფის წევრი არენა გორგაძე...

## სხივ განათლების ხარისხის განვითარების უროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა, გიბლიოთეკა მთლიანობაში მოიცავს 2954 ერთეულ წიგნს. მასში შედის ქართული, რუსული და ინგლისური ლიტერატურა, სასკოლო სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, გიბლიოთეკარმა წარმოადგინა საინვენტარიზაციო წიგნი, ასევე მუშაობს bibliocat.ge. დაცულია მკითხველთა ბარათები.

ბიბლიოთეკაში არის ბიბლიოთეკარისათვის 1 კომპიუტერი, რომელიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით.

წიგნადი ფონდი შესაბამისი წესითაა აღრიცხული და დამუშავებული, სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება და ბიბლიოთეკარის სამსახურებრივი ინსტრუქციები.

- ვიზუალური დათვალიერება;
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის აღრიცხვის წიგნი

შეფასება  
დამასტურება/დანართი  
„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

2.

4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სეცეიალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის

## საიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

აღწერა	<p>სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსმ მოსწავლე. სპეციალური საგანმანათლებლო საქიროების მოსწავლეთა ვარიაციების, რომელიც საქიროებებს ესლით გადაადგილებს, სკოლის პირველი სართულის კიბეებიდან დამონტაჟებულია მოძრავი პანდუსი, რომელიც ამ ეტაპისათვის კეცილია კედლისკენ. ერთ-ერთ ტეალეტს, რომელიც დირექციის განმარტებით და ვიზუალური დათვალიერებით ადაპტირებული იყო შემ მოსწავლისათვის და რომელსაც შესახველის მოძრავი პანდუსი ვიზიტის დროს მოხსნილი იყო, კაბინაში ძალიან ვიწრო შესახველი აქვს.</p> <p><u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია რომ შემ მოსწავლისთვის სკოლი წერტილი მოაწყოს სხვა ადგილას, სადაც მაქანიკურად გაითვალისწინებს შემ მოსწავლის საჭიროებებს.</u></p>
დაღასტურება/დანართი	<p>ვიზუალური დათვალიერება</p>
შეფასება	<p>დაკავშირებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/5 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.</p>

2. სკოლას აქვს სსმისთვის სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით შუდმივად უზრუნველყოფით ერთი კომპიუტერი (საკვიფიციურები) არაუმიტეს 20 მოსწავლეზე ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

19

მონიტორინგის ჯგუფის წევრი შესახ... რეზიუმების დანართი

თავი შედევრი შეკვეთი

## სით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

### აღწერა

სკოლას აქვს 1 კაბინეტი ისტ-ის გაკვეთილებისთვის, სადაც განთავსებულია 12 კომიუნიტერი (ყველა მუშა მდგრმარეობაშია და ჩართულია ინტერნეტში), შესაბამისი მაგიდებითა და სკამბით, ასევე პრინტერი.

კომპიუტერები განთავსებულია დირექტორის კაბინეტში, სამსწავლებლოში, ბიბლიოთეკში, ხარისხის მართვის მენეჯრისა და ზუღალტრის ოთახებში. სკოლას შეძენილი აქვს ასვა პროექტორები, პრინტერები, ტელევიზორი.

სკოლის ვებგვერდია: [www.gergeti-geti.ge](http://www.gergeti-geti.ge), სადაც იდენტიური ინფორმაცია სკოლის შესახებ, თუმცა ესტ გვერდზე არ იყო ინფორმაცია 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ.

**არც სკოლის განვითარების 2018-2019 წლის გეგმის შესახებ.** ამ ეტაპზე ვებგვერდზე განთავსებულია 2016-2017 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და 2016-2017 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ხშირად განახლოს ვებგვერდი და განათავსოს მასზე ახალი ინფორმაცია.

საკომუნიკაციო მიზანს ემსახურება სკოლის ელ-ფოსტა: [ger\\_geti@yahoo.com](mailto:ger_geti@yahoo.com)

### დაბასტურება/დან

- სკოლის ვებგვერდი - [www.gergeti-geti.ge](http://www.gergeti-geti.ge),
- სკოლის ელ-ფოსტა - [ger\\_geti@yahoo.com](mailto:ger_geti@yahoo.com)

### შეფასება

დაკავშირფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

დაკავშირფილებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაცენტუალური რესურსის პარამეტრების თაობაზე“ რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ სიიზ - განათლების ხარისხის

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

მონიტორინგის ჯგუფის წევრი [www.gergeti-geti.ge](http://www.gergeti-geti.ge)

თავისი მიღება უკავშირდეთ.

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანების მე-3  
მუხლის მე-2 პუნქტი.

2. სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
- 6

- ა) ხანძალსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მქანაზები და ხანძალსაწინააღმდეგო ინვენტარი  
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ქვაკუაციის გეგმა;

- გ) სამედიცინო დამარცხების აღმოჩენის მქანიზმები;

- დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მქანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერუნი, რომელიც უზრუნველყოფებ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შექსაბამება „აზარტული და სხვა მომზებიანი თამაშობების (გარდა წამხალისებრივი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომონიტორინგის სისტემებისა და მათ დამონტაჟება-წარადაბაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმითა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომონიტორინგის სისტემებსა და მათ დამონტაჟება-წარადაბაციის წესებს

აღწერა	შპს გეტის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, ხოლო კიბის უჯრედებში ჩამოვიდეულია ცეცხლმაქრები. სკოლას სულ შეძნილი აქცეს 17 ვიდეოკამერა, მათგან 2, შესაბამისი პარამეტრებისა და მოთხოვნების, დამონტაჟებულია შესასვლელში, დანარჩენი-ყველა სართულის დერეფანში,
--------	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ა. ლეიხო

მონიტორინგის ჯგუფის წევრი შ. ჭავჭავაძე

თავმჯდომარე გ. გილიაშვილი

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ასევე კომპიუტერის თთახშიც. სკოლაში უცხო პირთა შესვლას აკონტროლებს დაცვის თანამშრომელი, რომლის მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულება.

სკოლაში არ არის საქირო ინვენტარით აღჭურვილი ცალკე სამედიცინო თთახი. სამედიცინო კუთხე სკოლაში განთავსებულია ერთდღოულად რამდენიმე ფუნქციის მქონე თთახში. სკოლას ჰქავს ექიმი, რომელიც მხოლოდ 2 დღე მოდის სკოლაში, სხვა დღეებში მისი ფუნქცია შეთავსებული აქვს გთლობის მასწავლებელს, რაც გულისხმობს, რომ საკმარისად არ არის დაცული მოსწავლეთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

**დადასტურება/დანართი**

- ვიზუალური დათვალიურება
- ინვენტარიზაციის აქტი
- ექსანთან დადგებული ხელშეკრულება

**შეფასება**

დაკავშირდებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ. ქვეყნის“ ქვეყნის.

**2.**  
**7** მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ასახველი სხვა დოკუმენტების

<b>აღწერა</b>	შპს გეტს შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი სკოლის წესდება, თანამდებობრივი ინსტრუქციების განმსაზღვრელი დოკუმენტები, შინაგანწესი, კათედრის მუშაობის პრინციპი და ბიბლიოთეკის დებულებები, მონიტორინგისა და ხარისხის მართვის
---------------	---

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..... ა. ქ. ჭ. ჭ.

მონიტორინგის ჯგუფის წევრი შ. ა. ჭ. რ. ა. ჭ. ჭ. ჭ.

თავმჯდომარე გ. დ. გ. ჭ. ჭ.

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ჯგუფის დებულება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პედაგოგის დებულება, შეფასების ჯგუფის დებულება.

დადასტურება/დანართი	<ul style="list-style-type: none"> <li>• შპს გეტის წესდება</li> <li>• პს გეტის შინაგანაწესი</li> <li>• შპს გეტის თანამდებობრივი ინსტრუქციები</li> <li>• შპს გეტის დებულებები</li> </ul>
---------------------	---

დაკავშირდებულია, საგანმათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

**2. შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ჯჭულიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულებების მისიღან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მქანიზმებს**

აღწერა	<p>შპს გეტი შემუშავებულია 2016-2022 სასწავლო წლების განვითარების გრძელვადიანი (ექსწლიანი) გეგმები. ერთწლიანი 2018-2019 წლის გეგმა შემუშავდა გასული სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით ხარისხის განვითარების მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე.</p> <p>გეგმებში გათვალისწინებულია სკოლის საჭიროებები სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის დაგეგმილია რიგი ღონისძიებები მატერიალური რესურსის გაუმჯობესებასთან და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით</p>
--------	---

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ა. დუდუკიავა.....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი მარია კაცავაძე.....

თავმჯდომარე გილეა ჭვილი

## საიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დადასტურება/დან არით შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>• შპს ვეტის 2016-2022 წლების ქავსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა</li> <li>• შპს გეტის 2018-2019 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა</li> </ul> <p>დაკავშირდებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/5 ბრძანების მუ-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.</p>
-------------------------------------	--

### 2. დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორექტონდების აღრიცხვა

აღწერა	სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების წესი, დამტკიცებულია გენერალური დირექტორის 2016 წლის 9 სექტემბრის №65 ბრძანებით. საშტატო აკადემიული ჰყავთ საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები გაწერილია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საქმისმწარმოებების თანამდებობრივ ინსტრუქციაში.
	<p>სკოლის საქმისმწარმოებების თანამდებობრივ ინსტრუქციაში, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება, პასუხისმგებელია შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვის, მეცნიერებისა და განათლების სამინისტროდან და რესურსენტრიდან შემოსული დოკუმენტაციის, საკადრო ბრძანებების წიგნების, მოსწავლეთა ჩაწერის ანგანური წიგნისა და დასაქმებულთა პირადი საქმეების წარმოებაზე.</p> <p>სკოლაში აქვთ განცხადებების რეგისტრაციის ქურნალი, ბრძანებების სარეგისტრაციო ქურნალი, ქურნალები აკინძულია, ზონარეგიონი, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით.</p> <p>უნდა აღნიშნოს, რომ გარვეველ შემთხვევებში, საქმისწარმოების წესის მიხედვით არ არის დამუშავებული და ქურნალებში გატარებული დოკუმენტები.</p>

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ... ი. დოკ. ღ. 2020

მონიტორინგის ჯგუფის წევრი შეასრულებულია

ოსმი მოდელური კოდი

# სიბ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაღასტურება/დანარი	<ul style="list-style-type: none"><li>• საქმისწარმოების წესი</li><li>• შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ქურნალი</li><li>• გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ქურნალი</li><li>• გრძანებების ქურნალი</li><li>• შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ქურნალი</li><li>• პირადი საქმეები</li></ul>
შეფასება	<p>დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ გრძანების მე-4 მუხლის პირველი ლენქების „o“ ქვეპუნქებია.</p>

## III. ადამიანური რესურსი

### 3.1

#### სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

აღწერა	<p>შპს სკოლა გეპიში განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გაზის მიხედვით, ირიცხება 255 მოსწავლე. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი, მათ შორის: 38 მასწავლებელი, გენერალური დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დაწყებითი საფეხურის მმნახერი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, საინფორმაციო სამსახურის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სამეცნიერებო ნაწილის გამგე, ზუღალტერი, საქმისწარმოებელი, ოპერატორი, დარაჯი, დაცვის ორი თანამშრომელი. ასევე- იურისტი და გიბლიოთეკარი, რაც არ ფიქსირდება მართვის საინფორმაციო ბაზაში. (დანართი #3) ამის მიზური, სკოლის დირექტივის განმარტებით, ისაა, რომ გიბლიოთეკარი არის პედაგოგი და ითავსებს ბიბლიოთეკარის ფუნქციას.</p>
--------	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ა. ლ. ლ. ლ.

25

მონიტორინგის ჯგუფის წევრი მ. ა. კ. ა. მ. ლ.

თავისი გიდენი ძვირი

## საიდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

### მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ხოლო იურისტი დროებითი ხელშეკრულების საფუძველზეა დასაქმებული. გენერალური დირექტორი ითავსებს მათემატიკის ჰედაგოგის ფუნქციას, აღმასრულებელი დირექტორი-ქმია-ბიოლოგის ჰედაგოგის ფუნქციას, მოადგილუ-მთემატიკის ჰედაგოგის, დაწყებითი საფეხურის მენეჯერი - ქართული ენისა და ლიტერატურის ჰედაგოგის, სასწავლო პროცესის კოორდინატორი - ისტორიის ჰედაგოგის ფუნქციას. ხოლო 2 მასწავლებელი ასწავლის ორ-ორ საგანის. (დანართი #4) საგულისხმოა, რომ სკოლის წესდებაშიც და ცალკე დოკუმენტაცია განვითარის თანამდებობრივი ინსტრუქცია, მაგრამ სკოლას, ას ეტაპზე, არ ჰყავს სრულ განაკვეთზე მომუშავე ექიმი. ექიმი დაფიქსირებული არაა მართვის საინფორმაციო სისტემის გაზიარდ.

სკოლის დოკუმენტისათვა ინტერვიუს დროს გამოირვა, რომ ექიმი, (რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება) იმყოფება დეპრეტულ შეტყულებაში. მის ფუნქციებს ითავსებს ბიოლოგიის მასწავლებელი და სკოლის კურსდამთავრებული, სამეცნიერო უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც კვირაში ორჯერ მოდის სკოლაში. ხელშეკრულება გაფორმებულია მასთანაც. სკოლას მივა რეკომენდაცია, რომ დიაბოლოს სრულ განაკვეთზე მომუშავე ქმით/ქმთანი, რომელიც იზრუნებს მოწავლეთა სამეცნიერო უსაფრთხოებაზე.

დადასტურება/დანართი	<ul style="list-style-type: none"><li>• მოსწავლეთა მართვის საინფორმაციო გაზა</li><li>• მასწავლებლების მართვის საინფორმაციო გაზა</li><li>• შპს სკოლა გეტის 2018-2019 წლის საშტატო ნუსხა</li><li>• ინტერვიუები სკოლის დირექციისათვა, ბიოლოგიის მასწავლებელთან და სკოლის კურსდამთავრებულ სამეცნიერო უნივერსიტეტის სტუდენტთან</li></ul>
---------------------	---

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ... ა. დუ... ლ...

მონიტორინგის ჯგუფის წევრი შ. და... კათარებული

თავმჯდომარე თ. დ. და ჭ. ი. ი.

## საიმ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შეფასება	დაგჭიყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით.
----------	--

სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

### 3.2

აღწერა	სკოლაში მასწავლებელთა დასაქმება რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად. მასწავლებლების მართვის საინფორმაციო გაზის გადამინისებისას აღმოჩნდა, რომ 38 მასწავლებლიდან 23 პრაქტიკოსი მასწავლებელია, 4 კი - უფროსი. 13 მასწავლებლებს არ აქვს სტატუსი მინიჭებული. (დანართი #3) მთელი 2 მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის შესახებ სკოლის დირექტორმა მიმართა სსიპ - მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს 2017 წლის 7 ოქტომბრის (დანართი #5) როგორც ინტერვიუდან გამოირკვა, სკოლას ჯერ არ მოუღია პასუხი აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით.
--------	--

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე მ. ....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი მ. ....

თარი გიგი გვივი ღირე

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯაუფის დასახმა

- 11 მასწავლებელს, მართალია, დიპლომის მიხედვით აქვს შესაბამისი საგნის მასწავლებელის კვალიფიკაცია, მაგრამ არ უდასტურდებათ მასწავლებლობის უფლება. სკოლის აღმინისტრაციის განმარტებით, მათგან 4-ს ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა, თუმცა, ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილ, ხოლო 7 მასწავლებელი წელს მიიღეს.

სკოლას მიეცა რეკომენდაციები:

- განმეორებით მიმართოს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს 2017 წელს გაზიარებილ მიმართვაზე საბოლოო ჰასუხის მისაღებად.
- მასწავლებლის კვალიფიკაციის აღმქნე პედაგოგებს მიანიჭის მოწვევული მასწავლებლის სტატუსი, ხოლო მათთვის დატვირთვა არ ალემატებოდეს პირაში ცხრა საათზ.

### დადასტურება/დანართი

- მართვის საინფორმაციო სისტემის გაზა
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- სსიპ „მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორისადმი 2017 წლის 7 ოქტომბერის გაზიარებილი წერილი

### შეფასება

- არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით.

მონიტორინგის ჯაუფის თავმჯდომარე მ. ....

28

მონიტორინგის ჯაუფის წევრი მდებარეობს შემდეგი მიზანით:

თამა გილი ჭვილი

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების უროვნელი ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

### 3.3

სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალური სისტემა

აღწერა	სკოლის პედაგოგთა შერჩევის, მიღებისა და გთავისუფლების წესებს არეგულირებს სკოლა გენერალური დრუჟსტორის 2016 წლის 9 სექტემბრის ბრძანება „თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და განთავისუფლების წესის“ შესახებ. აგრეთვე, სკოლის შინაგანაწილის მეხუთე თავის მიხედვით, სადაც განსაზღვრულია თანამშრომელთა მიღების წესი და წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, შერომითი ურთიერთობის გაფორმებამდე კანდიდატი ვალდებულია სკოლაში წარადგინოს:
	პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფოტოსურათი ¾-ზე დაბეჭდილი და ციფრული ფორმით; განცხადება საშსხეულში მიღების შესახებ; ავტობიოგრაფია/CV; განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი; კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში; პირადობის მიწმობის ასლი; სურტიფიცირებული პედაგოგების შემთხვევაში, შესაბამისი სურტიფიციატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი; სამეცნიერო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა და ცნობა ნასამსროლების შესახებ. (დანართი #6) სკოლაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების დათვალიერებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი არ იყო 12 პედაგოგის პირადი საქმე. აგრეთვე, პირად საქმეში დოკუმენტებია წარმოდგენილი იყო არასრული სახით. ვიზიტის დროს პირადი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე მ. ჭულავა

მონიტორინგის ჯგუფის წევრი შესახებ... უფლებამოსილება...

## სხივ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

საქმეები შეივსო მონიტორინგის დროსვე. აგრეთვე, წარმოდგენილ ოქა 12-33 პერიოდების პირადი საქმე, მაგრამ მონიტორინგის ბოლო დღის მონაცემებით: წარმოდგენილი არ არის ტექნიკური და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები. ყველა პირად საქმეს აკლა სამდელიცნო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა და ცნობა ნასამართლების შესახებ. 3 დიპლომი დაუმოწმებელია ნოტარიულად. ერთი მასწავლებლის პირადი საქმე წარმოდგენილია ფოტოსურათის გარეშე.

სკოლაში არსებული ვაკანტური ადგილის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხდება ელექტორონული და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით (სკოლის ვებგვერდი, გაზეთი, ვებგვერდები სამსახურის მაძიებელთათივს).

გაწერილი რეგულაციების პრაქტიკაში განხორციელების დამადასტურებლად სკოლაშ წარმოადგინა სამოქალაქო განათლების, ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლების ვაკანტური ადგილების დასკავებლად გამოცხადებული კონკურის შესახებ დირექტორის მიერ 2018 წელს გამოცემული ბრძანებებით. თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობების ფორმებს არეგულირებს სკოლის შინაგანაწესის მე-9 თავი.

დირექტორის ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლას არც წახალისების და არც დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენების საკითხი პრაქტიკაში არ გამოიყენებია.

სკოლას მიეცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- შინაგანაწესის შესაბამისად სისრულეში მოყვანის დასაქმებულთა პირადი საქმეები ან გადახედოს შინაგანაწესით განსაზღვრულ მოხვივნებს.
- სკოლს „გეტის“ შინაგანაწესი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...თ. ლეილა ლეილა...

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...შემოწმებული ლარი ბალა შვილი

დადასტურება/დანართი

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	<ul style="list-style-type: none"> <li>• სკოლა „გეტის“ გენერალური დირექტორის 2016 წლის 9 სექტემბრის გრძანება „თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და განთავისუფლების წესის“ შესახებ</li> <li>• ინტერვიუები სკოლის დირექტორთან და პედაგოგებთან</li> <li>• თანამშრომელთა პირადი საქმეები</li> <li>• თბილისის მრავალპერიფიანი სკოლა „გეტის“ ბრძანება N07 (4 აპრილი, 2018) და N12 (28 მაისი, 2018), ვაკანტური ადგილების გამოცხადების შესახებ</li> </ul>
შეფასება	<p>დაკამყოფებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით.</p>

### 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომელებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

აღწერა	<p>სკოლის ყველა პედაგოგთან, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც განსაზღვრულია ხელშეკრულების ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, სამუშაო დორ და შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობების გაწყვეტა, დამატებებითი ვალდებულებები, მხარეთა რეკვიტიები და ხელმოწერა.</p> <p>შრომითი ხელშეკრულებები შექმნამდება საქართველოს კანონმდებლობას.</p>
--------	--

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცნობი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შრომით ხელშეკრულებებში მასწავლებლის სტატუსის არმქონებულებებს მიანიჭის „მოწვევული მასწავლებლის“ სტატუსი.	• თანამშრომელთა ხელშეკრულებები
დადასტურდება/დანართი	<ul style="list-style-type: none"><li>ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან</li></ul>

### 3.5 სკოლას შემუშავებული აქცს აღამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

აღწერა	სკოლა ჩართულია „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სემინარი“. სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმებსა და სკოლის შინაგანაწესი წარმოდგენილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმაში სკოლას აღნიშნული აქცს სერტიფიცირებული მასწავლებლებით სკოლის დაკომპლექტებაზე ზრუნვა და პედაგოგების
--------	--

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაცურენინგის ჯგუფის დასკვნა  
(დანართი #7)

სკოლის შენაგანაწესი გაწერილია „პროფესიული განვითარების პროგრამა“, სადაც მითითებულია, რომ 2018-2019 სასწავლო წელს დაინერვება სწავლების ინოვაციური მეთოდები, პროფესიული განვითარების ტრენინგებისა და სემინარების (სწავლების მეთოდება, პროფესიული უნარ-ჩვევები, საინფორმაციო ტექნოლოგიები) ორგანიზება. (დანართი #8)

თუმცა, 2019 წლის მაისში სკოლას მხოლოდ ოთხი უფროსი მასწავლებელი ჰყავს და, როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, მხოლოდ ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისთვის ჩატარდა 3-საათიანი შეხვედრა სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ. (დანართი #9) სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საკუთარი მცირე გულაგზეთ ძალიან უჭირთ ტრენინგების დაფინანსება. თუმცა შზაობას გამოიქვამებ, რომ მაქსიმალურად შეუწყონ ხელი თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

სკოლას მიუვა რეკომენდაციები:

- ხარისხის მართვის მენეჯერმა უზრუნველყოს სკოლაში ურთიერთითანამშრომლობითი გარემოს შექმნა, რათა პედაგოგებმა ერთმანეთს გუზიარონ ცოდნა, ახალი მეთოდები და მიზნები. ამისთვის, შესაძლოა, გამოყენებული იქნეს: კათედრის სხდომები, ურთიერთდასწრება ან/და სხვა მექანიზმები.
- პედაგოგებმა მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებსა და სხვადასხვა პროფესიული გამოცდილების გაზიარების შეხვედრებში.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...მარიამ გერებელი.....

თავმჯდომარე  
მარიამ გერებელი

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	<ul style="list-style-type: none"> <li>• სკოლაშ ჟედაგოგებს თქვრატიულად მიაწოდოს ინფორმაცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესახებ.</li> </ul>
დაგასტურება/დანართი	<ul style="list-style-type: none"> <li>• კურძო, მრავალპროფესიული სკოლა „გეტის“ განვითარების ერთიწლიანი სამოქმედო გეგმა, 2018-2019 წ.</li> <li>• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - შპს „გეტის“ გრძელვადიანი (ექსწლიანი) სამოქმედო გეგმა, 2016-2022 წწ.</li> <li>• სკოლის შინაგანაწესი</li> <li>• ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშები</li> <li>• გასაუბრებელი მასწავლებლებთან და სკოლის დირექტორთან</li> </ul>
შეფასება	<p>დაკავშირფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/6 ბრძანების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპენქტით.</p>
3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასუკროლ საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას,	
პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
აღწერა	<p>სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, შემუშავებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებშიც გაწერილია სკოლაში დასაქმებული სხვადასხვა თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობები.</p>

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...მ. დავით დობრიძე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი . შემუშავებული დოკუმენტი

თარიღი 2019 წლის 20 ივნისი

## სსრ განათლების ხარისხის განვითარების უროვნული ცენტრი

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არჩევთი ირგანოა. იგი აერთიანებს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს. თვითმმართველობის წევრები, ღონისძიებების ორგანიზების დროს, აქტიურად თანამშრომლობებს სკოლის დორექციასთან, სხვადასხვა აღმინისტრაციული და ფინანსური საკითხის მოგვარების მიზნით.

ინტერვიურების დროს დირექტიის წევრები, მასწავლებლები და მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში მეგობრული და თანამშრომლობითი გარემოა მოსწავლეები მასწავლებლების მიმართ კაყიფილებას გამოთქვამდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ისინი არიან პროფესიონალები და მეგობრულები. ყურადღებას ამხვილებდნენ, რომ მასწავლებლები და დოკუმენტივის თბილად და პატივისცემით ეძყრობა მთ. პედაგოგები საუბრობდნენ, რომ ადრინისტრაციისან ყოველობის კრძობენ მხარდაჭერას.

სკოლას მოცა რეპოზიტორი, უფრო დეტალურად გაიწეროს აღმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის უფლება-მოვალეობები. აგრეთვე, შეიქმნას ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობრივი ინსტურქცია.

დადასტურება/დანართი	<ul style="list-style-type: none"><li>• სკოლაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი ინსტრუქციები</li><li>• ინტერვიუები სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და კაყიფილებულთა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ გრძელების მე-5 მუხლის „დ“ ქვეშენტით.</li></ul>